№ 137
სამშაბათ, 27 ივნისი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 137
სამშაპათი, 27 ივნისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაგარეგლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227

## იყიდება კუკიის გაჯი.

ეს გაჯი ყველა სხვა გაჯსა სჯობია სითეთრით, სიმაგრით და სისუფთავითაც.

ბევრმა არ იცის ესა და ყიდულობს სხვა გაჯს, რომელიც რამდენისამე კაპეიკით უფრო იაფადა ჰღირს. რათა შემდეგში მუშტარი არ მოტყუვდეს, იმ პოვოსკებს, რომლითაც კუკიის გაჯსა ჰყიდიან, ქისტი ექმნება მიკრული ამნაირის წარწერით: „კუკიის გაჯი“.

ვისაც ჰსურს ეს გაჯი შეიძინოს, უნდა მიჰმართოს მეიჯარადრეებს თოფაძესა და ჩხეიძეს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიასთან, ნადიროვისა და დოლუხანოვის მამულში. მოიჯარადრეებს 15 ცხენი ჰყავთ გაჯის საზიდავად. (15—128—8)

## „ივერიის“ რედაქციისაგან.

ვისაც ჰსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ,

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**მ. გ. წერეთელი**, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. გუგთაბეგოვი**—სიფილისის, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

საზაფხულო თეატრი და ბაღი.
სამშაბათს, 27 ივნისს,
მოგზაური **ჯონ-მორისი**
**გამართავს**
**ბუნდოვან სურათებს**
„ვეფხვის ტყაოსნიდგან“.
სურათები დამზადებულია ქ. ლეიპციგში.
(2—6.—2) გამგე ზ. მ. საფაროვი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

**მ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## მთავრობის განკარგულებანი

—

1878—1879 წლებში დაბადებულ ჯარში გასაწვევ უმაწვილ კაცთა სია, რომელთა საცხოვრებელი ადგილი, სად არიან მიწერილნი და დედ-მამანი არ არიან ცნობილნი:

აკვაპაშვილი ალექსი გიორგის ძე, აღდგომელაშვილი ივანე ალექსის ძე, ადუაშვილი გიორგი გიორგის ძე, ამარინოვი სოლომონ გიორგის ძე, ბაბაშვილი ალექსი იოსების ძე, ბაკურაძე გიორგი სოლომონის ძე, ბაბილუ ჩი ნიკო გიორგის ძე, ბოგაშვილი ვასილ ზაქარიას ძე, გაბუნია გიორგი ლუკას ძე, გაგნიძე ქრისტეფორე გიორგის ძე, განდაშვილი სერგო იოსების ძე, გახელაძე მახეილ გრიგორის ძე, გელაძე ალექსი აბრამის ძე, გელაძე თედორე ესტატეს ძე, გოგაძე ვლადიმერ გიორგის ძე, გრიგოლაშვილი ვლადიმერ ივანეს ძე, გუგუშაური მიხეილ ივანეს ძე, გურული ონისიმე ალექსის ძე, დემუროვი ვასილ სოლომონის ძე, ჯავახიშვილი დავით გივის ძე, დოხანაშვილი დავით ივანეს ძე, დუგაშვილი სერგო აღდგომელას ძე, ელიოსიძე დიმიტრი მიხაილის ძე, ჯმუხაძე იოანე დავითის ძე, ყორყოლიანი ლევონტი თედორეს ძე, ზალიაშვილი გეორგე გალუსტის ძე, ზარიძე გაბრიელ ბესარიონის ძე, ზუქაშვილი ისაკ მიხეილის ძე, იმედაშვილი გიორგი ტიხონის ძე, იმუშაშვილი დიანოს თედორეს ძე, ინიაშვილი ივანე პავლეს ძე, ირულიძე ალექსანდრე მიხეილის ძე, კაკლიაშვილი მიხეილ პავლეს ძე, კალანდარაშვილი კონსტანტინე დიმიტრის ძე, ქარუმიძე დავით სოლომონის ძე, ქათამაძე მიხეილ ივანეს ძე, კვესაძე ნიკო ივანეს ძე, ქვრივიძე ვლადიმერ ვასილის ძე, კიკნაძე გიორგი ალექსანდრეს ძე, კობახიძე გიორგი ნიკოლოზის ძე, ქოქოშვილი ივანე მაქსიმეს ძე, კორანაშვილი ზაქარო პავლეს ძე, კურტაშვილი ნიკო ალექსის ძე, კურხული ივანე ედიშერის ძე, ლაშქარაშვილი ზაქარო გიორგის ძე, ლევანიძე კონსტანტინე ანდრიას ძე,

# ფელეტონი

—

### დრანდის მონასტერი

—

დრანდის მონასტერი ეკუთვნის ქართველების უძველესის დროის ბიზანტიურ გეგმაზედ აშენებულ ტაძრების რიცხვს, სამწუხაროდ მისს შესახებ ძლიერ ცოტა ცნობებია დაშთენილი.

ვახუშტი სწერს: მოქვიდგან დასავლეთისაკენ მდინარებს კოდორი, რომლის გორაზე, დრანდაზე, სდგას ჩინებული გუმბათიანი საყდარი; იქ იჯდა ეპისკოპოსი, გამგებელი კოდორისა და ანაკოფიის შუა, აწ ალარაა საეპისკოპოსო. დიუბუა მოგვითხრობს: „კოდორიდგან ცხენის წყლამდის 12 საეპისკოპოსო კათედრები იყოო, ერთი მათგანი „დარდარი“ სამიტროპოლიტო იყოო“. გულ-დენ-შტეტი დარდარს და მოქვს სთვლის მთავარ-ეპისკოპოსის კათედრად.

მატიანეს სიტყვით XVII საუკ. დრანდას აღარა ჰყავს ეპისკოპოსი, მაგრამ აფხაზეთში უწინდელებრ ქართველ კათალიკოსებს ვხედავთ შემდეგაც ვიდრე 1804 წლამდე. კათალიკოსი მაქსიმე ამ (1804) წ. რუსეთს გადაასახლეს და მისს საკათალიკოსოს განაგებდა ქუთაისის მიტროპოლიტი დოსითეოსი 1809 წლამდე. ამის შემდეგ კათალიკოსობა გაუქმდა და თითქმის 30 წლის განმავლობაში აფხაზეთში ეპისკოპოსსაც აღარ ვხედავთ...

მართალია, 1842 წლიდგან 1885 წლამდის ქართველი ეპისკოპოსები იყვნენ: ანტონი II (დადიანი), გერმანე (გოგოლაშვილი), გერონტი (ტატიშვილი), ალექსანდრე (ოქროპირიძე) და ყველასგან ცნობილი გაბრიელ (ქიქოძე), მაგრამ ამ ჩინებულის საყდრის შესახებ არაფერს გადმოგვცემენ.

ტაძარზედ გინდა ქვებზედ წარწერა არ შენახულა, რომ ჰმოწმობდეს მისის აშენების დრო-ჟამს. ზეპირთქმულობა კი დრანდის აშენებას მიაწერს იმპერატორს იუსტინეს (527—565 წ.). ეს ვიცით მხოლოდ, რომ აფხაზეთის კათალიკოსის სატახტო ქალაქი იყო დიდი ბიჭვინტა, სადაც მეფე დავით აღმაშენებელი (1089—1125 წ.) ზამთარს განატარებდა ხოლმე.

ხალხი ამბობს: „ძველს უფრო მადლი აქვსო“; მაშ ჩვენც ჯერ ძველი გავიცნოთ.

ძველი დრანდის საყდარი ბიზანტიურ გეგოვნებაზეა აშენებული: გრძელი ოთხ-კუთხი, მაღალი სწორე კედელი, (იატაკიდგან გუმბათამდის 4 საჟენი და 2 ალაბია, სიგძე 13 საჟენი და ორი ალაბი, განი 10 საჟენი). ტაძარი ოთხს სვეტზე ამართულია, ცა ჯვარედინად აქვს გარდართხმული. შიგნით სვეტებსა და სვეტებს შუა აქვს სამ-სამი განყოფილება (საკურთხევლების გარდა); თითოეულში მოთავსდება 100 კაცი, შუა საყდარში 500, სულ 800 კაცი დაეტევა. შუა საყდარი ღვთის მშობლის მიძინებისაა და სამხრეთისა—წმ. ნიკოლოოზის.

მარჯვენის და მარცხნის საკურთხევლებს თითო კარი ჰქონია და ორ-ორი ფანჯარა, კარები ამოშენებულია, შუა საკურთხეველი სამ ფანჯრიანია.

გუმბათი ყოფილა ძველებური—კუნჭულიანი, სიმაღლე 24 საჟენი, ირგვლივ გარედგან 21 საჟენი, 18 დიდრონი ფანჯრები და 17 სარტყელიანი. დასავლეთის კედლიდგან პირდაპირ გუმბათზედ მიშენებულია სამი ფანჯრიანი სამგალობლო, შიგნით მოაჯირი გადასცქერის მთელს საყდარს. კარის ბჭე ახალია, ბერების-გან მიშენებული; გარშემო ტაძარს აქვს 14 ფანჯარა. მხოლოდ განი და რკინის ცხაურები მიმატებულია. კარები სამი ჰქონია, დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთისა. ორი მათგანი გვერდებისა ამოშენებულია და ზედ რუსული ფანჯრებია გაკეთებული.

დრანდის ტაძარი აშენებულია რიყის შავის ქვისაგან, ზედ დატანებული აქვს ფართე და სქელი აგურები, (მათი სიგძე 10 გოჯია, განი 8 გოჯი, სისქე 2 გოჯი). კედლები ნაშენია ძლიერ იშვიათ და ფართე ($11^1/_2$ გოჯი სიგძე, განი 10 გოჯი, სისქე 1 გოჯი, წონით 18 გირვანქა) ტალსავით მაგარ აგურებისგან.

ეს ტაძარი დახურული ყოფილა წითელის ლორფინით (სიგძე 11 გოჯი, განი 10 გოჯი), რომელიც ეხლანდელს მარსელის კრამიტზედ უფრო დიდია, თიხა და სიმაგრეც უკეთესია. გუმბათი დახურული ყოფილა მრგვალის ამოღარულის გძელ 9 გოჯიან მილებით.

მარჯვნით და მარცხნით ეგვტრები ჰქონია (სიგრძე 4 საჟენი, $1^1/_2$ საჟენი განი), მაგრამ მოუშორებიათ მარჯვნივ ეგვტერი 15 წლის წინად, საფლავი გაუხსნიათ, უპოვნიათ მღვდელთ-მთავრის ნეშტი: ომფორი, ჯვარი და კვერთხი; ნივთებიანად საფლავი ისევ დაუკრძალავთ, „ადგილი ესე წმინდა არს“... ტაძრის დასავლეთის კედელს, გარეთ ოთხი კედელს შუა ყოფილა „დარანი“—მიწას ქვეშ შესასვლელი, აქეთ-იქეთ მიმოსასვლელი გზა ფარული, თაღშეკრული გვირაბი 280 ნაბიჯზე აღმოსავლეთისკენ, კოდორამდის, რომელიც მაშინ თურმე თავისს ტალღებს გორას ძირს სცემდა, როგორც ამტკიცებს მისი კვალი რიყე-ჭალა, და დანაშთენი წყალი დოლაბს აბრუნებს... თითონ მდინარე ეხლა 2—4 ვერსის მანძილზეა, მეორე გორას გვერდებს ჰგლეჯს და მირბის ზღვისკენ...

ხალხის გადმოცემით, ამ ადგილს ერქვა „წყბა“ (ფშა), რადგან მარჯვნივ გორის ძირს მდინარებდა კოდორი და მარცხნივ ამავე მდინარედგან გამოდიოდა „ფშა“, ასე რომ წყალ შუა ყოფილა ეს გორა მოქცეული; სახელი „ფშა“ მწერლებისგან გადანათლულია „ნაფსეირად“, აქ წმ. აბომ იხილა ქვეყანა იგი აფხაზთა (796 წ.) სავსე ქრისტეს სარწმუნოებითა, და არავინ ურწმუნოთაგანი იპოვის საზღვართა მათთა“. აქ უძველესის დროის საყდარი და საფლავები ყოფილა, მაგრამ ქვა-ქვაზედ არ დარჩენილა...

სწორედ ამ ნასაყდრევზედ ადგილობრივ მღვდლის დავით ხუციშვილის თაოსნობითა და ღვაწლით ეხლა კოპწია ქვის საყდარი სდგას მთავარ-ანგელოზის მიხეილის სახელობისა. დრანდის ტაძრის სამალავ გვირაბში რამდენიმე ხნის წინად ბერებს ეპოვნათ სხვადა-სხვა საარხეოლოგიო ნივთები, მათ შორის მარმარილოს ქვაზედ მოჭრილი მაცხოვრის ხატი, იაკობის წყაროზე და მისს წინ სამარიტელი დედაკაცი, რომელმაც გამოუცხადა ყოველი ცოდვა ქრისტესა.

ეს ხატი და სხვა ნივთები, როგორც ამბობენ, ვედენსკის წაუღია. ვგონებ მეტი არ იქნება, აღვნიშნოთ ესეც, თუ სადაა და როგორს ალაგ-

ლეჟავა ანტონ თეოდორეს ძე, ლობჟანიძე ალექსანდრე გიორგის ძე, ლოლაძე იოსებ იაკობის ძე, ლომიძე გრიგოლ მიხეილის ძე, ლომიძე კონსტანტინე გიორგის ძე, ლუკიანოვი ნიკო სიდორის ძე, მაისურაძე ვასილ დავითის ძე, მაისურაძე ზაქარო ივანეს ძე, მაისურაძე ნიკოლოზ მიხეილის ძე, მაისურაძე სტეფანე იოანეს ძე, მაკაევი სიმონ იოსების ძე, მაჩაბელოვი ალექსი ნოდარის ძე, მაჩაბელი გიორგი ზაალის ძე, მეზვრიშვილი ნიკოლოზ პეტრეს ძე, მელანიშვილი იოსებ ივანეს ძე, მელანაშვილი ილია იოსების ძე, მეტრეველი, ნიკოლოზ ივანეს ძე, მჭედლიშვილი გრიგოლ ალექსანდრეს ძე, მჭედლიშვილი ილარიონ ედიშერის ძე, მყედლოვი მიხეილ ნიკოლოზის ძე, მინაძე იოსებ ნიკოლოზის ძე, მასირელიშვილი ივანე იოსების ძე, მოსულიშვილი ივანე ილიას ძე, მუხრანსკი გრიგოლ ილიას ძე, მჭედლიძე ზაქარია გიორგის ძე, მჭედლიშვილი ალექსი გიორგის ძე, მჭედლიშვილი ალექსი ივანეს ძე, მჭედლიშვილი დავით დიმიტრის ძე, ობლიძე ნიკოლოზ ილიას ძე, ოდიაშვილი ალექსანდრე ქრისტიანის ძე, ოქროპირიძე ალექსანდრე გრიგოლის ძე, ფალიაშვილი ილია ალექსის ძე, პაპალაშვილი ანდრია ისაკის ძე, პარემანაშვილი გაბრიელ სიმონის ძე, ფერაძე გიორგი სიმონის ძე, ფოცხვერაშვილი კონსტანტინე პეტრეს ძე, რჩეულოვი ვალერიან გრიგოლის ძე, საბალაძე მოსე სოლომონის ძე, სამიშვილი სოლომონ დავითის ძე, სარამიძე ალექსი თედორეს ძე, სიმონოვი ივანე ამირანას ძე, სიტლაძე დავით გარსევანის ძე, სიხაშვილი ზაქარია ივანეს ძე, სოლაღაშვილი გიორგი თევდორეს ძე, თავგაზაშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე, ტატიშვილი იოსებ იპოლიტეს ძე, ტარიელოვი ნიკოლოზ ზურაბის ძე, თუთრაშვილი იოსებ ზაქარიას ძე, ტოტიაური ივანე ქრისტესიას ძე, ტუმანოვი ივანე გრიგოლის ძე, ქაჩატლაკია ანდრე ლაზარეს ძე, ხველაძე ვასილ გრიგოლის ძე, ქეჩიაშვილი ალექსანდრე ვასილის ძე, ცაბაძე ივანე სიმონის ძე, ცაბაძე გიორგი ალექსანდრეს ძე, წითლიაშვილი დავით იოსების ძე, შელიძე ლევან გრიგოლის ძე, ჩხეიტანიძე გიორგი გრიგოლის ძე, შავშიშვილი მიხეილ გრიგოლის ძე, შეუკაშვილი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე, შინდიგორიძე იაკობ ზურაბის ძე, შოშიაშვილი ვასილ თედორეს ძე, ებიტაშვილი სერგი ილარიონის ძე.

# ახალი ამბავი

*** გუშინ, ორშაბათს, 26 ივნისს, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში დანიშნული იყო საჯაროდ გასასყიდად ქალაქ ტფილისის 15 მამული და გუშინვე გაიყიდა კიდეც. ამ მამულებზედ თავნი ვალი იყო სულ 67,501 მან. 71 კაპ., ხოლო სარგებელი და სხვა გარდასახადი 2,869 მან. და 62 კაპ.

დღეს, 27 ივნისს, საჯაროდ გასასყიდად დანიშნულია ქ. ქუთაისისა, ბათუმისა და სხვა ქალაქების მამულები.

*** ქუთაისის სასულიერო სემინარიაში წრეულს სწავლა დაამთავრა 29 კაცმა; მათ შორის სამი რუსია, დანარჩენი ქართველები: აი მათი სახელი და გვარი: ევსევი ლოსაბერიძე, სამსონ ლეჟავა, კონსტანტინე ტყეშელაშვილი, ნაუმი რამიშვილი, რაჟდენ თოდუა, კირილე ნინიძე, ანტონ ფირცხალავა, ანდრია პორუბინი, ელეფთერი ღვალაძე, ყარამან რამიშილი, ივანე ვიახირევი, ივანე რუსაძე, ვასილი აკიმოვი, იპპოლიტე უკლება, კაპიტონ სარალიძე, ივლიანე ჩლაიძე, პლატონ ცქიტიშვილი, ბესარიონ გაფრინდაშვილი, მიხეილ ჩიკვინიძე, ზაქარია ცინცაძე, მიხეილ ჯაფარიძე, ივანე მეტრეველი, მიხეილ მაჩიტაძე, კრისტეფორე კაჭახიძე, ტარასი ძიგრაშვილი, კოსტანტინე ჯაკობია, ილია ჯინჭველაშვილი, ბიქტორ ენუქიძე და ეპიფანე სხირტლაძე. სემინარიის მთავრობას აკადემიაში არც ერთი არ გაუგზავნია, მხოლოდ თავის სურვილითა და ხარჯით აპირობს წასვლას რაჟდენ თოდუა. უნივერსიტეტში წასვლას აპირებენ: ლოსაბერიძე ევსევი, ლეჟავა სამსონ, ტყეშელაშვილი კონსტანტინე, რამიშვილი ნაუმი, ნინიძე კირილე და რამიშვილი ყარამან.

*** საერო განათლების სამინისტრომ ცირკულიარით აცნობა სამოსწავლო ოლქის უფროსებს, რომ დედათა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში, სასულიერო აკადემიაში სწავლა-დამთავრებულნი მასწავლებლებად მხოლოდ მაშინ შეიძლება დანიშნულ იქმნენ, როდესაც არ აღმოჩნდებიან ისეთნი, რომელნიც თავიანთის სასწავლო ცენზით აკმაყოფილებენ დასახელებულ გიმნაზიების წესდებებს. ამასთან აკადემიაში სწავლა-დამთავრებულნი იმ საგნების მასწავლებლად შეიძლება დანიშნულ იქმნენ, რომლებიც აკადემიაში შეუსწავლიათ.

*** საერო განათლების სამინისტრომ საჭიროდ სცნო შვიდ-კლასიან დედათა გიმნაზიების ალგებრის კურსიდგან გამოაკლოს ის ადგილები, სადაც პროგრესიებსა, კუბიკურ ფესვებსა და ლოგორითმებზედაა ლაპარაკი. ეს ადგილები მე-8 კლასში მხოლოდ იმ ქალებმა უნდა შეისწავლონ, რომელნიც მათემატიკას ირჩევენ მთავარ საგნად. ეს განკარგულება სამინისტრომ ყველა სამოსწავლო ოლქის მზრუნველს აცნობა.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამას წინად დიდუბის მცხოვრებთ შუამდგომლობა აღძრეს ტფილისის გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ ამ უბანში ქალაქი შეუდგეს ქუჩების მოკირწყვლას, ტროტუარებისა და წყლის ონკანების გამართვას. ეს შუამდგომლობა ბ-ნმა გუბერნატორმა ქალაქის მოურავს გადასცა და სთხოვა, რომ შესაფერი ზომები იქმნას მიღებული დიდუბელების თხოვნის დასაკმაყოფილებლად.

*** 17 მაისს დიდ წვიმებისა და ნიაღვრებისაგან დაზარალდა გორის მაზრის სოფლები: წრომი, მაცლეთი, ნადარბაზევი, ქელეთი, ოქროსოფელი, ვაკენაანთ-კარი და ხავლეთი. თელავის მაზრაში სეტყვამ გაანადგურა ვენახები სოფელ ნაფარეულში. სეტყვამ დააზარალა ვენახები სოფ. კარდანახშიაც (სიღნაღის მაზრა). მაგრამ ყველაზედ მეტად სეტყვამ დააზარალა დაღესტნის ოლქი და ერევნის გუბერნია („ცნ. ფურ.“).

*** ორშაბათს, 26 ივნისს, ტფილისის ცხენის რკინის გზის ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა ბ-ნმა რობიმ სთხოვა ქალაქის გამგეობას ნება მიეცეს ვერაზედ—ვარდის უბანსა და წყნეთის ქუჩაზედ ლიანდაგი გამართოს ცხენის რკინის გზისთვის.

*** გუშინ, 26 ივნისს, დილის 10 საათიდგან კავკასიის სააბრეშუმო სადგურში უკვე დაიწყო მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის ლექციების კითხვა. კურსები გაგრძელდება ერთს თვეს. ლექციებს წაიკითხავენ სააბრეშუმო სადგურის გამგე შავროვი, ბ-ნნი სატუნინი, ივანოვი და გორბაჩევი. პირველი ლექცია წაიკითხა გუშინ ბ-ნმა შავროვმა.

*** როგორც „ცნ. ფურ.“-ს შეუტყვია, კნ. მარიამ ვასილის ასულს ერისთავისას პარიჟის გამოფენაზე მეორე მედალი მიუღია მხატვრობისათვის.

*** ივლისის პირველ რიცხვებში პეტერბურგიდგან ჩამოვა ტფილისს შინაგან საქმეთა სამინისტროს საბეითალო ნაწილის გამგე ბ-ნი პესტიჩი. პესტიჩს აზრადა აქვს დაათვალიეროს ზოგიერთი გუბერნიები ამიერ-კავკასიისა და გაიცნოს ის ზომები, რომელიც მიღებულია ადგილობრივ საქონლის ჭირის წინაალმდეგ საბრძოლველად.

*** პირველ ივლისიდგან ბაქოში ნავთზედ აქციზი იქმნება შემოღებული, ფუთზედ 60 კაპ.

*** 23 ივნისს ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში მოხდა ვაჭრობა ამ საზოგადოებაში დაგირავებულ იმ მამულებისა, რომლებზედაც ძველი გადასახადი იყო დარჩენილი. გაიყიდა სულ 20 მამული.

*** როგორც გაზ. „კავ.“-სა სწერენ, ზაქათალის ოლქის სოფელ მუღანლოს მცხოვრებთ გადაუწყვეტიათ შეუდგენ მუღანლოს ახალის ხიდის აშენებას.

*** თელავი. ამ ბოლოს დროს დიდი წვიმები იყო აქეთ. ხშირმა წვიმებმა რაოდენადმე დააზარალა ნათესობა და ბაღები. ბევრგან თელავის მაზრაში სეტყვამ სრულიად გაანადგურა ვენახები. წელს თელავში სააგარაკოდ ცოტა ხალხი ჩამოვიდა.

### ვარამი ჩვენის ცხოვრებისა

(წერილები ქართველ დედასთან)

წერილი მეოთხე

ამ მეოთხე წერილში აზრად მქონდა ჩვენის ცხოვრების სხვა კარამხედ მებაასნა თქვენთან, მაგრამ თქვენის უკანასკნელ წერილით იძულებულსა მხდით ცოტა ნახტომი შევიშალო და გემასლაათოთ იმის შესახებ, რომელიც ასე განიტერესებთ. მწერთ, ჩემი შვილი მალე სასკოლო წლოვანებაში შედის და რა გვარად უნდა მოვამზადო, რომ სკოლა შევაფერებოდესო. მართლა რომ საინტერესო საგანია. ეხლა ხელთა მაქვს შესანიშნავი წერილი პედაგოგის ბემესი და არ შემიძლიან არ გაგიზიაროთ იგი. აი რასა სწერს მაგ საგნის შესახებ ეს შესანიშნავი კაცი.

თუ გნებავთ, რომ სკოლამ კეთილად იმოქმედოს თქვენს შვილზედ, ექვსი

---

ზეა აშენებული დრანდის საყდარი. ეს დიდებული ტაძარი აგებულია ერთს გორაზედ, რომელიც ჰშორავს ძველს „დიოსკურიას“ (სოხუმს) აღმოსავლეთ-სამხრეთისკენ 17 ვერსით.

აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ-დასავლეთამდე კადნიერად გვერდს უდგია თეთრი გვირგვინიანი კავკასიის ქედები, კლდე, ღრე, ტევრი, მრავალჯერ მტრისგან მხსნელი ჩვენი, მის კალთებს ქვეშ სიფელი, ველი, ბუხებისგან ყოვლისფრით უხვად დაჯილდოვებული...

სამხრეთ-დასავლეთით გაჰყურებს იგი თავისს საყვარელს ქვეყანას: სამცხე საათაბაგოს, აჭარა-ბათუმ-ტრაპიზონის სპეტაკს მთებს, მდინარეს, სოფლებს, ტყეს, ველს, არე-მარეს.

დასავლეთისკენ დასცქერის ფართოდ გადაშლილს ზღვას, ხან შავად, ხან თეთრად, ხან ცის-ფერად, წყნარის სახის გამომეტყველს, რომელსაც მიაპობს უშველებელი გემები.

ვისაც ჰსურს დასტკბეს ამ დიდებულის სანახავით, ნუ დაიშურებს ორიოდე გროშს, გამოისეიროს ზაფხულში ზღვით.—მერე მსურველნი ქ. სოხუმიდგან აღმოსავლეთ-სამხრეთისკენ ძლიერ იაფად (40—50 კაპ.) მოადგებიან მონასტრის პირველს ეზოს.

აქ მგზავრი ჰნახავს სასწავლებელს მკვიდრთა 50—60 ორივე სქესის ბავშვებისათვის, იქვე ორ-სართულიანს, ესრედ წოდებულს „საახნაურო სასტუმროს“. სახლებს და ბაღებს გაივლის თუ არა, მეორე ეზოს კარზედ—სამრეკლოს კედელზედ—წარმოუდგება მაცხოვარი, ზედწარწერით: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი, და მე განგისვენო თქვენ“. მართლაც, ორივე სქესის ტვირთ-მძიმენი აქ ჰპოვენ განსვენებას.

სამრეკლოდგან, აქეთ-იქით ლარსავით გაყოლებულია: კვიპაროზები, ბაღები, აუზები, ორ-სართულიანი საძმო სახლების საზოგადო ტრაპეზის წინ, მოედანზედ სდგას დიდებული თითქო გუშინდელი აშენებული საკრებულო ტაძარი. მუდამ კარ-ღია თაყვანის-მცემლებისთვის...

მნახველის ყურადღებას მიიპყრობს ტაძრის დიდებული გეგმა და გუმბათზე ჩინებული ქანდაკის, ოთხ-ფერ მინა-ჩასმული, ვარაყიანი დიდი ჯვარი, (25 ფუთია) „რაზამ ბრწყინვალე არიან ვარსკულავნი მისნი“. მის ქვეშ მთვარე და უშველებელი სფერა-ბურთი აღგვინიშნავს, რომ ქვეყნის სივრცეზედ გამოცხადდა ქრისტე და ჯვარის თაყვანისმცემლებმა დასთრგუნეს მთავარის თაყვანისმცემლები... ჯვარში გამოყვანილია ვაზი და მტევნები: „მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი“.

შიგნით ტაძარში არის დიდებული ჩუქურთმა-ქანდაკებანი, ექვს-ექვს ფრთოვანი ანგელოსები, სვეტები, 3—4 სართულიანი, 3 კანკელი, მოჭრილ-მოვარაყებული, თითქო ოქროს ხატებით ამართული, გულის ზეცად მიმპყრობი, ვარდობისა და თიბათვეებსავით ჰყვავის და ჰბრწყინავს...

კანკელში შესანიშნავია სამ-სამ ალაბის სიგრძე დიდი ხატები: ღვთის მშობლის მიძინებისა, „ივერიისა“, კიდევ მიძინებისა და ოქროს სამოსში ⁊ სხვ. ⁊ სხვ. წამებულთა და წმინდანების ნაწილების შუა, ღვთისმშობლის მწუხარებისა (ეს ხატი უმეტეს 100 წლისა მიწაში დამარხული უპოვნიათ, მაგრამ მაინც კარგა შენახულა), სასწაულის მომქმედი ღვთის მშობლის მიძინების პირი, ვერცხლით მოჭედილი.

წყალი მონასტრისათვის მანქანით ამოჰყავთ 40—60 საჟენის სიმაღლეზე, წყალი გუბდება ჯერ შუა აუზში და იქიდგან მილებითა და ონკანებით მიშვებულია სამზარეულოსა, სასტუმროებსა და ყველგან, საცა უნდათ...

გარშემო აქვს 10 დესეტინა მიწა, წყლის დოლაბები, ვენახები, ზეთის ხეები, ქვიანი ფერდებიც ბაღებ-ბოსტნებით არის აყვავებული ბერების გან.

ძველის ტაძრის გარდა, ქვის შენობებია, თუ ხის, ყველა ბერების და მორჩილების აგებულია. სულ არის 40 სახლი: საარქიელო, საძმო, სასტუმრო 200—300 კაცის ორივე სქესისთვის ცალკ-ცალკე, სამკურნალო და სხ. საოსტატო და სახელოსნო, რომლების მცოდნენი და მწარმოებელნი არიან თითონ ბერები და მორჩილები; თქვენ ნახავთ აქ ბერთა შორის ექიმს, ფერშლებს, მჭედლებს, კალატოზ-დურგლებს, მკერვლებს, ნალბანდებს, და სხ. რუსეთის გუბერნიების 300 კაცისაგან შემდგარი ძმანი შრომობენ მონასტრის გამშვენება-გალონიერებისათვის.

მათში არ არის ჩვენი დროის სენი „შენ-ჩემობია“, არამედ ყოველივე ზოგადი აქვთ, წმ. ძველ ათონის წესით, როგორც უწინ არსებობდა საქართველოს მონასტრებში...

ამ მონასტრის განახლება დაწყებულია 1885 წ. ძველის ათონის მღვდელ-მონაზონების ვარლაამ, მოდესტა, ალიპი და ინნოკენტისგან; ერთს მათგანს (ალიპის) დიდი შრომა გაუწევია; დრანდის მონასტრისათვის კაი სამსახური გაუწევია აგრეთვე იღუმენს საბას; სხვათა შორის ამან განაახლა ერთი ძველი ტაძარი. ეს ტაძარი ორის ვერსის სიშორეზეა დრანდიდგან. იგი იყო უგუმბათო, რიყის ქვით ნაშენი, გვერდზედ ეკვტერი მიშენებული ჰქონდა, თვით საყდარი ორად გაყოფილი იყო, ოდესმე დახატული, ტრაპეზის წინ ძველი ეპისკოპოსი ემარხა, ქვითკირის კედლებით და ალაყაფის კარით იყო შემოზღუდული. ეს გავერანებული საყდარი 1893 წ. განაახლა საბამ წმ. დიდის მოწამების: პანტელეიმონ მკურნალისა და თეოდორე სტრატილატის სახელობაზედ. 20 ბერი და მორჩილია, ყოველ დღე სრულდება წირვა-ლოცვა. გარეშემო, 40 დესეტინა მიწა, ვენახები, ბაღებით აყვავებულია. მანვე განაახლა სხვა ძველი გუმბათიანი საყდარიც ყოველთა წმიდათა; აქ 30 ბერია და მორჩილები, აქვთ ვენახი, ბაღი, ყორული, ტყე და გომები... მამა საბასვე მზრუნველობით ზებელის საზღვარზედ, კავკასიის მთის გამოღმა (20 ვერ. მონასტრიდამ) აშენებულია მიმომსვლელებისთვის ღამის გასათევი სახლი, სანოვაგე-საწოლი. დრანდს აქვს თავისი სამეტოქეები ქ. სოხუმს, ნოვოროსიას, ეკატერინოდარს, და სხ. ტყე და ველი მონასტერსა აქვს მიზომილი 1,000 დესიატინამდე.

პირველ საუკუნოებიდგანვე ამ გორაზედ ჰბრწყინავდა ნათელი ქრისტეს მოციქულებისა ანდრიასი და სიმონ კანანელისა... დედამან ღვთისამან ინება დრანდის ტაძრის აღდგენა და იგი აღსდგა და გაბრწყინდა კიდეც...

კა—ლის—ტე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის განმავლობაში კეთილ-ზნეობრივად აღზარდეთ. სწორედ ეს აღზრდა აკლიათ სკოლაში ახლად მობარებულებს, თუმცა ამათი მშობლები განათლებულები ბრძანდებიან. ვინ ჩამოსთვლის, რამდენი დრო ეკარგება მშრომელ მასწავლებელს ამათ ნაკლულევანებასთან ბრძოლაში! ახალ შემოსულ ბავშვს ვერ მოუხერხებია ტკბილად იცხოვროს თავისს ამხანაგთან; სულ იმისს ცდაშია, როგორმე გააჯავროს ამხანაგი და ბეზარს მოიყვანოს. ყოველივე შენიშვნა მასწავლებლისა ამ შემთხვევისა გამო რამდენ დროს უკარგავს მას! მეორე. მოსწავლე არღვევს წესსა და რიგს და საზოგადოდ არც ესმება რა არის რიგი. სრულიად ახალი წიგნი, რომელიც ეს-ეს არის მასწავლებელმა მისცა, ერთის კვირის შემდეგ წიგნს აღარა ჰგავს. ძალიან ხშირად მშობლები უჩივიან სკოლას, იგი რიგიანობას არ ასწავლის, ბავშვი ვერ ეჩვევა წიგნების შენახვასაო. აბა რა უნდა ასწავლოს მასწავლებელმა ნახევარ წელიწადში, რომელსაც ექვსის წლის განმავლობაში მშობელს ვერა უსწავლებია-რა! სკოლა ოთხს საათს ჰკიდავს ბავშვს, დანარჩენს დროს-კი მშობლების მზრუნველობის ქვეშ არიან. მობარეს, მაგალითად, მშვენიერი, ნიჭიერებით სავსე უმაწვილი, მაგრამ ისეთი ქარიანი და უყურადღებო, რომ მას ერთ წუთსაც არ შეუძლიან დაამყაროს თავისი ყურადღება ერთს რომელსამე საგანს. სკოლამ უნდა ერთის წლის განმავლობაში გაასწოროს და ჩაუნერგოს ის, რაც ექვსის წლის განმავლობაში ოჯახს უნდა მიეცა და ჩაენერგა! აქვე ჰზის მობუზული, მხნეობას მოკლებული და დაშინებული ბავშვი, თუ ჰკითხე რამე, უმეტეს ნაწილად სწორედ გიპასუხებს, მაგრამ ისე გაუბედავად და სუსტად, რომ ცოდნის მქონე არ გეჩვენებათ, გაბედულება აკლია, რწმენა თავისის თავისა, ცუდის აღზრდის, მომეტებულ სასტიკობის, დაცინვის გამო და სხვანი. ეხლა, გგონებ, აშკარაა, რად ვაძლევ დიდ მნიშვნელობას ბავშვების ზნეობრივს აღზრდას იმ დრომდე, ვიდრე სკოლაში იქმნებიან მობარებულნი. მე აქ პატარა ნაკლულევანების შესახებ ჩამოგიგდეთ ლაპარაკი, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ დიდრონს ნაკლულევანებას, როგორც, მაგალითად, დაუდევრობას, ტყუილის თქმასა და სხვა ამ გვარს თქვენი შალიკო ა[illegible]რებული იქნება. სამწუხაროდ, ეს ნაკლიც ძალიან ხშირად მოჰყვებათ ხოლმე ბავშვებს სკოლაში.

საჭიროა, რომ ბავშვმა, რომელიც სკოლაში ახლად მოდის, იცოდეს რიგიანად ხმარება გრძნობათა ორგანოებისა. თქვენ უეჭველია გაოცდებით ამ ცნობით, რომ პირველ-დაწყებითს კლასში ისეთი ბავშვებიც მოიპოვებიან, რომელთაც არც ცქერა იციან და არც სმენა აქვთ განვითარებული, თუმცა-კი მათი თვალები და ყურები სრულიად საღია. ამისთანა ბავშვს რომ ჰკითხო, რა ნახა მან ქუჩაში, ან რა დაავალა მშობელმა, არ იცის, რა გიპასუხოთ. ქუჩაში იგი ჩაფიქრებული მიდის და არაფერს ყურადღებას არ აქცევს, რაც მის გარშემო ხდება, და ხან ისიც არ იცის, სად მიდის. იგი არ არის შეჩვეული ყურადღებით მოეპყრას ყველა იმას, რაც მის გარშემო ხდება, ე. ი. დაინახოს და გაიგონოს რამე. სკოლაშიაც პირველ ხანს ყურადღებას არ აქცევს მასწავლებლის სიტყვებს. როცა სწერს, კალამს არ უცქერის; როცა კითხულობს, წიგნში არ იცქირება. მასწავლებელი რასმე რომ დასწერს, ან დახატავს საკლასო ფიცარზედ, იგი არც დაწერილს კითხულობს და არც დახატულსა ჰხედავს, შესცქერის მასწავლებელს და აკვირდება, თუ მას თავი როგორ უჭირავს, ხელები რა მოძრაობაში აქვს, ან არა-და, უცქერის საკლასო ფიცრის კოჭას, ან სხვა ნაწილს, და დაწერილსა და დახატულს-კი, რაც უფრო საჭიროა იმ დროს, არ აკვირდება; ამის შემდეგ განა გასაკვირველი იქნებოდა, რომ გითხრათ, ბავშვმა არ იცის-მეთქი ცქერა? როცა მასწავლებელი უხსნის რასმეს, ბავშვს სრულიად არა ესმის-რა მისი; ის შესჩერებია მასწავლებელს და მის გარეგნობის გამოკვლევაშია და ამისთანა ბავშვის გამო განა არ ითქმის, რომ სმენა არა აქვსო? მას არ შეუძლიან მიჰმართოს თვისი გრძნობები დანიშნულ საგნებისკენ; მისი გონება მიისწრაფის იქითკენ, საითაც სიამოვნება მომეტებულია და ყველა ამის ასაცილებლად ასწავლეთ თქვენს შვილს, რომ დაინახოს და გაიგონოს და მერე ისე მიაბარეთ სკოლაში.

— როგორ მოვახერხო ესო?—იქნება მკითხოთ.

— ძნელი არ არის. მიანდეთ რამე საქმე და თვალ-ყური ადევნეთ, რომ ნამდვილად აასრულოს და სწორედ გარდმოგცეთ მინდობილობის შედეგი. როდესაც სეირნობიდგან შინ დაბრუნდეს, ჰკითხეთ, რა ნახა ქუჩაში, რამ გაართო და გაახარა, ან რამ დაღონა და აწყენინა. ლაპარაკი მაშინაც-კი არ შესწყვიტოთ, გარეთ რომ დიდი რამ მისაზიდავიც შენიშნოთ. ამით თქვენ მიაღწევთ იმას, რომ თქვენს ბავშვს ეცოდინება—დაინახოს და გაიგონოს, რაც გასაგონი და დასანახია.

პირველ დაწყებით სკოლების მოსწავლეებისათვის, გრძნობათა განვითარების გარდა, საჭიროა ბავშვების კარგ გამოთქმასაც ყურადღება მიაქციოთ. კარგა მოგეხსენებათ, რომ ამ თვისებას დედები არავითარს ყურადღებას არ აქცევენ, თუმცა-კი ამის მიხედვით შეგვიძლო აზრი შეგვედგინა შინაურ აღზრდაზედ. ზოგი ბავშვია, რომ საგნის ნამდვილ სახელს ვერ ამბობს (ბაბა, წყალი, ბველი და სხ.), ზოგი ისე ლაპარაკობს, როგორც მოსამსახურე ბიჭები თავიანთ შორის, ზოგს არ შეუძლიან ზოგიერთი ხმები გამოსთქვას, თუმცა ორგანიული ნაკლი არა აქვს-რა. პირველ შემთხვევაში ბავშვი ისე მისაზიდავია გარეშეთათვის, რომ მშობლებს უნდათ ხანგძლივ განაგრძოს მისი ამ გვარი ტიკტიკი; ესენი შედეგს ყურს არ უგდებენ და ზოგჯერ თითონაც ამ გვარად ელაპარაკებიან: „ჩემს შვილს ბაბა უნდა“, „ჩემს შვილს ბუასი არ ეშინიან“ და სხვა ამ გვარი. მეორე შემთხვევაში, დედ-მამა ისე გართულია „ცხოვრების სიამით“, რომ მათი პირმშო შვილები მოსამსახურეების ანაბარად არიან დატოვებულნი და, რასაკვირველია, ყველაფერში იმათ მიჰბაძავენ. დედას ვერ მოუხერხებია ცალ-ცალკე, გარკვევით გამოათქმევინოს ხოლმე ხმები და არც ძალიან იწუხებს თავს ამ ნაკლისათვის, რადგანაც ჰფიქრობს, რომ ყველა ამას სკოლა გაასწორებსო. ის-კი ავიწყდებათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, რომ ბავშვები სკოლაში უფრო კარგის გამოთქმით მიდიოდნენ! კარგი გამოთქმა არამც თუ მარტო უადვილებს კითხვას, წერაშიაც ეხმარება, რადგანაც ბავშვი პირველ ხანებში სწერს ისე, როგორც ლაპარაკობს. თუ იგი გაურკვევლად ლაპარაკობს, ისე რომ ზოგიერთა ხმები ოდნავ, ან სრულიად არ ესმის, მაშინ ამ ხმებს ან სწორედ ვერ გამოჰხატავს წერაში, ან სრულიად გამოსტოვებს. მეტადრე კარგი გამოთქმა საჭიროა მაშინ, როდესაც მოსწავლეები თხზულების წერას იწყებენ, ამისთვის რომ ყოველი ამაღლება და დადაბლება ხმებისა და მარცვლებისა ნათელსა ჰყოფს აზრსა. ამისთვის მიაქციეთ ეხლავე ყურადღება, რომ თქვენმა შალიკომ ყველაფერი სწორეთ გამოსთქვას ხოლმე. პირველს ხანებში დაანებეთ თავი ლოცვებისა, ლექსებისა და ბავშვისთვის გაუგებარ ამბების სწავლებას; თქვენ ამითი უაზრო სიტყვების განმეორებას აჩვევთ. უამბეთ ხოლმე თქვენს შალიკოს პატარ-პატარა მოთხრობები, ზღაპრები, ცხოველების შესახება, მაგრამ ისი-კი, რომ ყველა ეს თავის შექცევად არ გარდაუქციოთ და არ მიაჩვიოთ მისი ნორჩი ბუნება დამღუპველ რომანების კითხვას. ყველაფერი, რასაც კი შალიკოს უამბობთ, მოსთხოვეთ, რომ გაიმეოროს გარკვევით და ვიდრე კარგად არ შეითვისოს ნაამბობი, სხვა არა უამბოთ-რა. აი ის მოთხოვნილებანი, რომელზედაც ყურადღება უნდა მიაქციოთ ოჯახშივე, ვიდრე თქვენს ბავშვს სკოლაში მიაბარებდეთ.

კიდევ ერთი რამ. ეცადენით, რომ ვიდრე სკოლაში მიაბარებდეთ, შალიკოს რიცხვებისა და რაოდენობის ცნება ჰქონდეს. ვერ წარმომიდგენია, რომ 6—7 წლის ბავშვს ამ მხრივ გაუჭირდეს რამე, თუ-კი ბავშვის სმენასა და ხედვას ყურადღება ჰქონია მიქცეული. ბავშვების უმეტესობამ, რასაკვირველია, იცის, რომ ადამიანს ორი ხელი და ორი ფეხი აქვს, შინ თითებსაც-კი დაუთვლევინებიათ, ზოგი ასამდისაც დასთვლის, მაგრამ რომელსამე ამათგანს რომ ჰკითხო, რა უფრო მეტია, 9 თუ 5, უმეტესი ნაწილი ვერ გიპასუხებთ. ეს რისგან წარმოსდგება? იმისგან, რომ იგი მანქანურად მიუჩვევიათ თვლისათვის და სხვა საჭირო ვარჯიშობა კი დავიწყებიათ. დიდს ვარამს შეადგენს მასწავლებლისათვის ამ გვარი ბავშვები. ამათ ყველაფერი თავიდან უნდა დაასწ[illegible], [illegible] იმისათვის, რისთვისაც მშობლებს უნდა ეზრუნათ. თან უკვირთ კიდეც ხოლმე ზოგიერთებს, გვიან რადა ჰხვდება სკოლაში ჩემი შვილიო, როდესაც სკოლამდის ამან თვლა იცოდა კიდეცაო, ზოგნი გამრავლების ცხრილსაც ასწავლიან ხოლმე იმ მოსაზრებით, რომ სკოლას და თითონ ბავშვსაც შეღავათი მიეცემაო. მე-კი თქვენა გთხოვთ, ყველა ამას დაანებეთ თავი, თორემ თქვენი შრომა უნაყოფოდ ჩაივლის. თუ გინდათ თქვენს შვილს დაეხმაროთ და სკოლასაც სიკეთე გაუწიოთ, თქვენ ნუ დაკმაყოფილდებით მარტო თვლას, ავარჯიშეთ კიდეც ანგარიშში. გესმით, რასაკვირველია, რომ მე თქვენგან ნამდვილ არითმეტიკის სწავლებას არ ვითხოვ, რადგანაც მეთოდიური სწავლება არითმეტიკისა სკოლას ეკუთვნის და არა მშობლებს. თამაშობის დროს, ან სეირნობისა და ლაპარაკის დროს თქვენ შეგიძლებათ შალიკოს ამ მხრივ ნაბიჯი წაადგმევინოთ წინ. შემთხვევა ბევრი მოგეცემათ. „დღეს რამდენს ვაშლს მომცემ? ჩვენს სტუმარსა? აი აქ ისარგებლეთ კარგად და შალიკო ავარჯიშეთ ანგარიშში. ძალიან მცირედათ დააკმაყოფილებთ და მის გონებას ძალიან ცოტა საზრდოს მისცემთ, ამ გვარი ვარჯიშობა რომ დაუწყოთ: რამდენი იქნება 1 და 2, 3 და 4? ან ხუთს რომ 2 გამოვაკლოთ და სხვა. მაგრამ, რა კმაყოფილებას და სიხარულს მიანიჭებთ და რა სასარგებლო იქნება, როდესაც დაათვლევინებთ იმ საგნებს, რომელთაც თვალითა ჰხედავს და რომლების მიმატება და გამოკლება ეხალისება და სიხარულით ვარჯიშობს იგი. ჰკითხეთ, თუ ამ ოთახში რამდენი ნახატია, რამდენი სარკე, სკამი და სხვა საგნები, რომელნიც ოთახში ალაგია; მიეცით ხოლმე პატარ-პატარა გამოსაცნობიც: „წადი და სამზარეულოდგან 3 კოვზი გამოიტანე! სტოლთან 4 სკამი მიდგი. აი შენთვის 6 ქლიავი მომიცია იმ პირობით, რომ ნახევარი შენს დას მისცე“. სავარჯიშებლად ძალიან სასარგებლოა ოთხ-კუთხედები. ამ ოთხ-კუთხედების შემწეობით ბავშვი სახლს აშენებს და აშენების დროს ანგარიშშიაც ივარჯიშებს; უთხარით შალიკოს, რომ ამან პატარა კოშკი ააშენოს 6 ოთხ-კუთხით, 4-თ, 10-დე. აიღე პირველ კოშკიდგან 3 ოთხ-კუთხი და მეორეზედ დადგი; რომელი უფრო მაღალია, პირველი, თუ მეორე? კოშკებს მიუშენე 2 კედელი, თითო 4 ოთხ-კუთხედით! და სხ. და სხ. ამ გვარად შალიკოს უფრო დიდს სარგებლობას მოუტანთ, ვიდრე მაშინ, რომ დასვათ და რიცხვების სწავლება დააწყებინოთ. მაგრამ ამასაც გთხოვთ, ნუ მიახვედრებთ შალიკოს, თუ რა იგულისხმება ამ თამაშობაში, თორემ ხალისი მალე დაეკარგება. თუ ამ გვარად ავარჯიშებთ, ძალიან კარგი იქნება; ხოლო, თუ სისტემატიურად დაუწყებთ სწავლებას და რიცხვებით გამოაშტერებთ, ისა სჯობიან, სრულიად თავი დაანებოთ, ძნელია თუ ადვილი, დეე ისევ სკოლამ ითავოს ამისი სწავლება.

ალ. ნათაძე.

# რუსეთი

— 15 ივნისს სწორედ 35 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც დაარსებულ იქმნა გზათა სამინისტრო. წინად, 1811 წლიდგან 1865 წლამდე, სამინისტროს ნაცვლად არსებობდა გზათა მთავარი გამგეობა.

— შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ სასტატისტიკო საბჭოს საჭიროდ დაუნახავს დრო-გამოშვებით, ხუთ წელიწადში ერთხელ, მოახდინოს ხოლმე აღწერა დათესილ მიწებისა და აგრეთვე შეჰკრიბოს ხოლმე სხვა ცნობები მეურნეობის შესახებ. ამ ცნობების შემუშავება მინდობილი ექმნება მთავარ სასტატისტიკო კომიტეტს. ეს დადგენილება მოუწონებია შინაგან საქმეთა სამინისტროს. საქმის საბოლოოდ გადასაწყვეტად ეს საგანი გადაუციათ განსახილველად განსაკუთრებულ კომისიისათვის, რომლის თავმჯდომარედაც შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი თავადი ობოლენსკი იქმნა დანიშნული.

— საერო განათლების სამინისტრომ გამოაცხადა, რომ მე-2 ხარისხის კერძო სასწავლებლების ყველა კლასის მასწავლებლებად შეუძლიანთ მიიწვიონ ისეთნიც, რომელთაც უმაღლესი განათლება არ მიუღიათ.

— გზათა სამინისტროს ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ რკინის გზებზედ მსახურთათვის კბილის სნეულებათა წამლობა გაუმჯობესებულ იქმნას და ისრევე ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ ხოლმე, როგორც სხვა სნეულების დროს. აღნიშნული საგანი განსახილველად რკინის გზათა მკურნალების მომავალს კრებას გადაეცემა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ივნისი

**ლონდონი.** რობერტსის დეპეშა, პრეტორიიდგან გამოგზავნილი: „გენერალი პეჯეტი 20 ივნისს შეებრძოლა ბურებს პლეიზერფონტენთან და წაართვა მათ ძლიერი პოზიცია ლევკოპის პირდაპირ ბროვერიფონტენამდე. იქ დაბანაკდა და შემდეგ უკან დაედევნა მტერს. მეორე დღეს ის მივიდა ბლაუვკოპში, ბეთლემიდგან 15 მილის მანძილზე. პეჯეტი იტყობინება, რომ ორანჟეს რესპუბლიკის მთავრობის ყველა წევრები, პრეზიდენტის შტეინისა და ფინანსთა მინისტრის გარდა, ბეთლემში იმყოფებიან; ბეთლემი აღიარებულია ახალ სატახტო ქალაქად. ფინანსთა მინისტრი იმყოფება ვრედეში; შტეინი კი მთებშია. ბულლერი იუწყება, რომ რკინის გზის ლიანდაგი ჰეიდელბერგიდგან შეკეთებულია იმდენად, რომ ნატალსა და პრეტორიას შუა მატარებლების წესიერი მიმოსვლა დაიწყოო.

**მოსკოვი.** საპა მამონტოვმა აღიარა დანაშაულობის სინამდვილე, მაგრამ სთქვა, ბოროტ-განზრახვით არაფერი ჩამიდენიაო. იმისმა ძმამ და შვილებმა განაცხადეს, რომ ვემორჩილებოდით საბას განკარგულებასაო. არციბუშევმა სთქვა, რომ დანაშაულობა არ ჩამიდენიაო. კრივოშეინიც უარ-ჰყოფს თავის დანაშაულობას. მოწმეთა ჩვენება ამსუბუქებს ბრალდებულთა დაშაულს.

**ბერლინი.** იაპონიის მთავრობა აცხადებს, რომ საქმეთა ვითარება ჩინეთში მოითხოვს დიდ-ძალი ჯარის გაგზავნას; ამასთანავე იაპონიას ჰსურს გაიგოს სხვა სახელმწიფოთა აზრიც. გერმანიის მთავრობამ უპასუხა, რომ დიდ მნიშვნელობას ვაძლევ ყველა სახელმწიფოთა თანხმობით მოქმედებას და თანახმა ვარ ყოველისავე ზომისა, რომელსაც მოიწონებენ დანარჩენი სახელმწიფონიო.

**ტიან-ძინი.** რობერტ კარტის შიკრიკმა ამბავი მოიტანა, რომ 11 ივნისს ბრიტანიის საელჩოში მოჰკლეს ცხრა ჯარის-კაცი, დაჭრილიც ბევრიაო. ქალებსა და ბავშვებს შიში არა მოელით-რა, მაგრამ სანოვაგე და საომარი მასალა-კი აკლდებათო.

აქ მოვიდა 2,200 იაპონელი 14 ზარბაზნით. ნაპირზე გადმოსვლა ძალიან გაუძნელდათ. დღეს, ღამე, ტიან-ძინში 800 იაპონელს კიდევ მოელიან. შეიძლება უცხოელებმა ტიან-ძინს თავი დაანებონ, რადგან სურსათი ილევა.

შანხაიში მოვიდა შემდეგი დეპეშა, პეკინიდგან 11 ივნისს გამოგზავნილი: მინისტრთა ბჭობის დროს იუნლუმ მოითხოვა—დამშვიდებულ იქმნას „დიდის მუშტის“ ამბოხებაო; ქვრივი იმპერატრიცა თანახმა გახდა იუნლუს აზრისა; მაგრამ პრინცმა ტუანმა განაცხადა, რომ როგორც მამა ტახტის მემკვიდრისა, რათაც უნდა დამიჯდეს, მოვალე ვარ დავიცვა მემკვიდრეობა ჩემის შვილისათვისაო. ამ აზრს დაეთანხმა კანლი; ორივემ განაცხადეს, რომ ვკისრულობთ ყოველს პასუხის გებას და ვუცხადებთ ომს უცხოელთაო. შემდეგ გამოვარდნენ სათათბირო ოთახიდგან ყვირილით: „შორს ჩვენგან უცხო-ქვეყნელნიო“. ყვირილი დაიწყეს აგრეთვე მანდარინებმა და ბრბომ.

ყველამ იარაღს მიჰმართა; იმპერატორს და დედოფალს ჩამოართვეს მეფური ღირსება, და წინადადება მისცეს—ან თავი მოიწამლეთ, ან არა და მოგკლავთო. იმპერატორმა საწამლავი დალია; დედოფალმაც დალია საწამლავი, მაგრამ ამ დეპეშის გაგზავნის დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

**ვაშინგტონი.** შანხაიში მყოფი ამერიკის ელჩი დეპეშით იუწყება, რომ საელჩოები პეკინში კიდევ მაგრობენო. უკანასკნელი იერიში „დიდის მუშტისა“ სუსტი იყო. „დიდი მუშტი“ ევროპიელების დამორჩილებას შიმშილით აპირებს.

25 ივნისი.

**ვენა.** გაზეთ „Pol. Corr.“-ს ატყობინებენ, რომ ჩინეთში უწესოების გაძლიერებისა და გერმანიის ელჩის მოკვლის გამო, იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ შეუდგეს ერთხელვე ნაკისრს მოვალეობის ასრულებას: უცხო ქვეყნელთა ინტერესების დაცვას, მათის დიპლომატების განთავისუფლებას და აგრეთვე წესიერების აღდგენას. ეხლა გაიგზავნება ერთი დივიზია და მაშინ იაპონიის ჯარის რაოდენობა ჩინეთში 22 ათას კაცამდე ავა.

**ბრესტი.** დღეს წავიდა ჩინეთისაკენ გემი, რომელზედაც 600 ჯარის-კაცია, 100 უნტერ-აფიცერი და საზღვაო არტილერიის ჯარის-კაცნი.

**ჰონკონგი.** ჩიფუდგან მოსულ წერილებში გამოთქმულია დიდი შიში ჩიფუში მყოფ უცხოელთა მდგომარეობის შესახებ. ნავთ-სადგურში სდგანან უცხოელთა გემები, მაგრამ ჩინელთა სიმაგრეები და მეციხოვნენი ძალიან იქმნენ გაძლიერებულნი და ქალაქს ისინი ჰბატონობენ.

**ხოლმი ლიუბლინსკი.** 24 ივნისი სამუდამოდ დარჩება ბრწყინვალე დღედ ხოლმის ისტორიაში. ამ დღეს, 4 საათზე, ჩამობრძანდა ბრესტიდგან ხელმწიფე იმპერატორი მე-65 მოსკოვის ქვეითა რაზმის 200 წლის იუბილეის დღესასწაულზე დასასწრებლად. ბელოსტოკში ხელმწიფეს მიეგება თავ. იმერეტინსკი, ხოლმში—გუბერნატორი თხორჟევსკი და სამხედრო უწყების მოხელენი. სადგურიდგან ხელმწიფე მიბრძანდა საკრებულო ტაძარში, რომლის შესავალთან მისს უდიდებულესობას გლეხთა და მოქალაქეთა დეპუტატებმა პურ-მარილი მიართვეს. ქუჩები მოფენილი იყო ყვავილებით; აქეთ-იქით იდგნენ საქალაქო და სასოფლო სკოლების მოსწავლეები. ეპისკოპოსი გერმანი მიეგება ხელმწიფეს წმ. ჯვრით და აიაზმით და სიტყვა მოახსენა: პარაკლისის შემდეგ ხელმწიფემ დაათვალიერა მონასტრის მუზეუმი, შემდეგ წაბრძანდა სამხედრო საავადმყოფოში; იქიდგან კი—მოსკოვის რაზმის სადგომში დღესასწაულზე დასასწრებლად. ხალხი და ჯარის-კაცნი უზომო აღტაცებით ეგებებოდნენ ხელმწიფეს.

**პარიჟი.** პალატა. როდესაც ჩინეთის საქმეების შესახებ შეეკითხნენ, დელკასემ სთქვა, რომ იაპონიამ ცხადად გამოსთქვა სურვილი იმოქმედოს დანარჩენ სახელმწიფოებთან თანხმობით. საფრანგეთმა აცნობა იაპონიას, რომ ისიც სიამოვნებით მიეგება იაპონიის მიერ მიღებულ იმ ზომებს, რომელიც მიმართული იქნება ჩინეთში წესიერების დასამყარებლად. რაც შეეხება საქმეთა მდგომარეობას, დელკასემ იკითხა—ვის უნდა გამოუცხადოთ ომი? ჩინეთის მთავრობა, როგორც სჩანს, დატყვევებულია მეამბოხეთაგან, პროვინციის მმართველნი კი არ ემორჩილებიან მეამბოხეთა მოთავეთაო. დელკასსე ამტკიცებდა, რომ საშიშოა ომი გამოეცხადოს ჩინეთსაო. მეორეს მხრით, ომს ვერ გამოაცხადებს ერთი რომელიმე სახელმწიფო, საფრანგეთს კი არა აქვს საბუთი პირველმა იკისროს ომის გამოცხადება. საფრანგეთს ამ შემთხვევაში დასწამებდნენ ანგარებას.(ტაშის-ცემაა). რაც შეეხება საელჩოების ბედ-იღბალს, ამის შესახებ პეკინიდგან ოფიციალური ცნობები არ მოგვსვლია. 12 ივნისს მოსულ დეპეშიდგანა სჩანს, რომ პიშონი და იმისი მეუღლე ამ დღეს კიდევ ცოცხლები იყვნენ. შემდეგ დელკასემა სთქვა, რომ ჯარების უფროსებმა წინააღმდეგნი შეიქმნენ პეკინზე გალაშქრებისა, ვიდრე საკმაო ჯარი არ მიემატებათ. ჩინეთის მთავრობა ვერ გაუმაგრდა ამბოხებას. ამ უკანასკნელის ჩაქრობა მხოლოდ ძალით შეიძლებაო. ამიტომ საჭიროა მივმართოთ ამ ძალას (ტაშის ცემაა). 4000 ფრანგი უკვე გავგზავნეთ, 4000-ს კიდევ მალე გავგზავნით საჭიროების და მიხედვით. ჯერ-ჯერობით კოხინ ხინაში ჯარი უნდა გავგზავნოთ ტაკუში გასტუმრებულ ჯარის ნაცვლად და აგრეთვე ვიღონოთ ფლოტის გაძლიერებისთვის. საფრანგეთს აზრადა აქვს ხელი აიღოს თავისს უფლებაზედ ჩინეთში; მაგრამ ამ ჟამად ეს უფლებები არ შეიძლება განცალკევდეს დანარჩენ სახელმწიფოთა უფლებებისაგან. დელკასსემ ერთხელ კიდევ განაცხადა, რომ სახელმწიფონი თანხმობით მოქმედებენო. დასასრულ დელკასემ სთხოვა პალატას მისცეს მთავრობას თავისუფლად მოქმედების უფლება (ტაშის ცემაა).

**პარიჟი.** დელკასსემ მიიღო კანტონის ელჩისაგან დეპეშა: ლიხუნჩანგს ატყობინებენ პეკინიდგანო, რომ 18 ივნისს საელჩოები ჯერ კიდევ უვნებელი იყვნენო.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება პრეტორიიდგან, რომ დღეს ბულლერი შემოვიდა ამ ქალაქშიო.

**ბერლინი.** იაპონიის პრინცი კანინი პეტერბურგს წავიდა.

**ლონდონი.** აქაურ ჩინეთის ელჩს მოუვიდა ლიხუნ-ჩანგისაგან დეპეშა, რომელშიაც ატყობინებს, რომ, როგორც შევიტყე, საელჩოები პეკინში უვნებლად არიან და მათ მთავრობა იცავსო. ეს ამბავი აქ საეჭვოდ მიაჩნიათ.

გარეშე საქმეთა სამინისტრომ დეპეშა მიიღო შანხაიდგან, რომ, პეკინიდან მოსულ ცნობებით, 20 ივნისს ორი საელჩო ჯერ კიდევ უვნებელია. „დიდის მუშტის“ ბრბონი და ჩინეთის ჯარის-კაცნი მეტად შეაწუხა იმ გარემოებამ, რომ ამდენ ხანს ვერ გაანადგურეს ყველა საელჩოები. დაიღუპა ორი ათასზე მეტი ჩინელი ჯარის-კაცი და „დიდი მუშტის“ რამდენიმე წინამძღოლი. ხალხი ჰფიქრობს რომ უცხოელთ რაღაც საიდუმლო და სასწაულთ-მომქმედი ძალა აქვთ, რომლის წყალობითაც სჯობნიან ჩინელთაო. ისინი საელჩოებს ვეღარ უახლოვდებიან, მაგრამ უცხო-ქვეყნელნი დიდხანს ვეღარ გამაგრდებიან, რადგან სურსათი აღარა აქვთო.

**კანტონი.** ლიხუნ-ჩანგი ჩრდილოეთ ჩინეთში აღარ მიდის. მან თვითონვე განაცხადა, აღარავითარი გავლენაღა არა მაქვს იქაო. აქაურს გაზეთებში დაბეჭდილია ინგლისურ დეპეშა ლიხუნ ჩანგთან გამოგზავნილი, სადაც ნათქვამია, რომ 21 ივნისს შემდეგ გამოცემული ბრძანებანი იმპერატორისა ყალბებიაო. ლიხუნ-ჩანგმა სთხოვა საფრანგეთის ელჩს, რომ საფრანგეთი ნურაფერ ზომებს ნუ მიიღებს იუნანში, თორემ ამბოხება უფრო გაძლიერდებაო.

**პეტერბურგი.** „მთავრობის უწყებაში“ დაბეჭდილია ჩინეთის საქმეების შესახებ ვრცელი განმარტება, რომელიც ასე თავდება: „უკანასკნელად მიღებულ ცნობებით, რაოდენობა ევროპიელთა ჯარებისა ტიანძინსა და ტაკუში უდრის 20,000 კაცს; ჩინეთის ჯარები კი ამავე ადგილებსა და პეკინს შუა 150.000 კაცს უდრის. ამიტომ ძლიერ საეჭვოა, რომ საერთაშორისო ჯარმა შესძლოს პეკინისაკენ წასვლა იმ დრომდე, ვიდრე საკმაო ჯარი არ მოეშველება. რადგანაც ჩინეთის მთავრობა სუსტი გამოდგა და ვერ მოახერხა ამბოხების მოსპობა აშკარაა ყოველივე პასუხის გება დაეკისრება აჯანყებულ ჩინელ წარჩინებულთ და მათ მოკავშირეთ, რომელთაც ხელთ იგდეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა.

26 ივნისი

**პეტერბურგი.** 25 ივნისს საზღვარ-გარეთიდგან მოვიდა იაპონიის პრინცი კანინი. სადგურიდგან პრინცი დიდ მთავარ ალექსანდრე ალექსანდრეს ძესთან ერთად საზამთრო სასახლეში წავიდა, სადაც იმისთვის სადგომია მომზადებული.

**მოსკოვი.** 25 ივნისს გრენადერთა როსტოვისა და კიევის და ლეიბდრაგუნის მოსკოვის რაზმებმა იდღესასწაულეს 200 წლის იუბილეი.

**კიევი.** ტირასპოლის ქვეითა რაზმმა იდღესასწაულა 200 წლის იუბილეი.

**ჟიტომირი.** 25 ივნისს მოვიდა დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე არხანგელოგრადისა და კოსტრომის რაზმების 200 წლის იუბილეის დღესასწაულებზედ დასასწრებლად.

**ტულა.** პსკოვის რაზმმა იდღესასწაულა 200 წლის იუბილეი.

**მოსკოვი.** მამონტოვის საქმე. მოწმეებმა ალბერტმა და სმირნოვმა განაცხადეს, რომ ნევსკის ქარხანა დიდი საქმე იყო, მაგრამ ამ საქმეს ყოველთვის სამოქმედო თანხა აკლდაო. მოწმეთ დრეიერმა და კალაშნიკოვმა სთქვეს, რომ ამ ქარხანას მაგდენი მნიშვნელობა არა ჰქონდაო. წაკითხულ იქმნა ფინანსთა, გზათა და ზღვათა მინისტრების თათბირის ჟურნალი. მინისტრებს ქარხანა ხაზინისათვის მეტად სასარგებლო დაწესებულებად უცვნიათ. მოწმემ ლაზარევმა დაახასიათა ბოროტ-მოქმედებანი კრივოშეინისა და არციბუშევისა, სავაჭრო განყოფილებაში ჩადენილი, მაგრამ ამასთან განაცხადა, რომ არციბუშევის ქონებიდგან შეიძლებოდა არციბუშევისავე მიზეზით დაკლებულის ფულის შევსებაო.

**ტიან ძინი.** ქალაქის იმ ნაწილს, სადაც ჩინელები სცხოვრობენ, 20 ივნისს ყუმბარებს ესროდნენ, მაგრამ უნაყოფოდ. ტიან ძინში მყოფ უცხო ქვეყნელთა ჯარის რიცხვი დაახლოვებით 10,000 იქმნება.—პეკინიდგან ახალი არაფერი მოსულა.—21 ივნისს, დილით, ჩინელებმა ყუმბარები დაუშინეს უცხო-ქვეყნელთა უბანს. სროლა ძლიერი იყო. სეიმურის განკარგულებით, ქალებსა და ბავშვებს პირველსავე მარჯვე შემთხვევის დროს ტაკუში წაიყვანენ.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტრომ მიიღო რობერტსისაგან გამოგზავნილი დეპეშა, რომ სტატს-სეკრეტარმა რეიცმა განათავისუფლა 800 ტყვე ინგლისელი; ტყვენი ლედი-სმიტისაკენ მიდიან: ტყვეთა შორის აფიცერი არ არისო.

**ბერლინი.** შანხაიში მყოფი გერმანიის ელჩი იუწყება, რომ მოვიდა შანდუნის გუბერნატორის დეპეშა. ამ დეპეშაში ნათქვამია, რომ განადგურებისაგან გადარჩენილ ორ საელჩოს პეკინში 20 ივნისიდგან ჩინელები ყუმბარებს აღარ ესვრიან, რადგანაც დიდი ზარალი მოუვიდათ, ასე რომ მომწყვდეულთა მდგომარეობა უნუგეშო არ არის, თუ სურსათი მოეპოვებათ კიდევაო.

**ბრიუსელი.** შანხაიდგან დეპეშები იუწყებიან, რომ როგორც ერთმა წარჩინებულმა ჩინელმა განაცხადა, პეკინში მყოფი ევროპიელი დიპლომატები 19 ივნისს ჯერ უვნებელნი ყოფილან. ჯარის ერთი ნაწილი, რომელსაც პრინცი ჩჟინი უფროსობს, არ შეუერთდა „დიდ მუშტს“, პირიქით თავს ესხმოდა მეამბოხეთ. შანდუნის გუბერნატორი არ ემორჩილება პრინც ტუანს, რომელმაც ნანკინის დაჭერა უბრძანა. შანხაის ჩინური გაზეთი ამბობს, რომ პრინცმა ჩჟინმა პეკინში კონტრ-რევოლიუცია დაიწყოო.

**ლონდონი.** როგორც შანხაის ელჩის ოფიციალურ მოხსენებიდგანა სჩანს, 24 ივნისს საელჩოები ჯერ კიდევ უვნებელნი ყოფილან. 19 ივნისს ჩინელებს თავს-დასხმაზედ ხელი აუღიათ, ასე რომ საფიქრელი მომწყვდეულთათვის ეხლა უსურსათობააო.

**შანხაი.** ნანკინში მყოფი ინგლისის ელჩი იუწყება, რომ შანტუნის გუბერნატორი იანშიკაი მართლაც აგვიანებს ნანკინისაკენ წასვლას ამ ქალაქის ასაღებადაო. ნანკინის ვიცე-კოროლი საჯაროდ ემზადება, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს უცხო ქვეყნელთა ყოველგვარ ჩარევას მდ. იანცზედ მდებარე პროვინციებში.

**ხოლმი ლიუბლინსკი.** 25 ივნისს, მოსკოვის ქვეითა მე-65 რაზმის 200 წლის იუბილეის დღეს, ხელმწიფე იმპერატორი ვაგონიდგან გამოვიდა და ხალხით სავსე ქუჩით ყაზარმისაკენ წაბრძანდა. პარაკლისის დაწყებამდე რაზმის უფროსმა წაიკითხა უმაღლესად ნაბოძები გრამოტა. დასასრულ რაზმმა გაიარა ხელმწიფის წინ, რომელმაც მადლობა მოახსენა. ხელმწიფე იმპერატორი წაბრძანდა ჯარის-კაცთა სასადილო სტოლებთან, სადაც სადღეგრძელო მიირთვა მოსკოვის რაზმის წარმატებისათვის. უავგუსტოესის შეფის სადღეგრძელოს ჯარი „ურას“ ძახილით მიეგება. დღესასწაული დასრულდა საუზმით უმაღლესის თანადასწრებით. ხელმწიფის აქ ყოფნის გამო ქალაქს სადღესასწაულო ელ-ფერი ადევს. ხალხი ყველგან აღტაცებით ეგებება ხელმწიფეს. ქალაქი გაჩირაღდნებულია.

**ჰონკონგი.** კანტონში სრული მშვიდობიანობაა და საქმეები ჩვეულებრივად სწარმოებს. ჩინელები ერთხმად ამბობენ, რომ თუ ლიხუნგ-ჩანგი კანტონში დარჩება, არავითარი უწესოება არ მოხდებაო. ჩრდილოეთიდგან მოსული ჩინელნი ამბობენ, რომ „დიდის მუშტის“ მომხრენი მტრულის თვალით უყურებენ კანტონელებს, რადგანაც კანტონელებმა პირველად მისცეს ნება ევროპიელებს ჩრდილოეთ ჩინეთში შესვლისაო.

**ლონდონი.** დაბეჭდილია შანჰაიდგან გამოგზავნილი დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ ინგლისის ყველა ქვეშევრდომს ებრძანა ბეჩუანის პროვინციიდგან გასვლაო.

**ჩიფუ.** მუკდენში მოკლულ იქმნა ეპისკოპოსი, ორი მღვდელი და ორი და მოწყალებისა. 22 ივნისს დეპეშით იუწყებიან, რომ „დიდმა მუშტმა“ ხოინიუნგში ალყა შემოარტყა დანიის მისსიას, რომელიც ორ დღეს თუ გამაგრდებაო. ყაზახთა რაზმი სხვა უცხო-ქვეყნელთა და ინგლისის ელჩთან ერთად წავიდა მომწყვდეულთა გასანთავისუფლებლად.

**შანხაი.** იუწყებიან, რომ შანდუნის გუბერნატორმა ტუანის ბრძანება მიიღო წავიდეს 18,000 გაწვრთნილის ჯარის-კაცით ნანკინის დასაჭერად, მაგრამ გუბერნატორმა ეს ბრძანება არ აასრულაო.—ნანკინი უვნებელი იქმნება, თუ ვიცე-კოროლმა ლიუმ წინააღმდეგობა გაუწია ქალაქზედ წამოსულ ჩინელებს. იანცზეში ვიცე-კოროლს 15 სამხედრო გემი ჰყავს. ყველაფერი ნანკინის ვიცე-კოროლის ყოფა-ქცევაზედაა დამოკიდებული. ამას წინად შანხაის თოფხანიდგან მიღებულ იქმნა მრავალი ნაღმი, მაგრამ ვიცე-კოროლის ბრძანებით, ეს ნაღმები ჯერ არ ჩაუწყვიათ.

**შანხაი.** ინგლისის ელჩებს ებრძანათ გავიდნენ სიჩუანის პროვინციიდგან.

**ბერლინი.** იმპერატორმა შემდეგი დეპეშა მიიღო ძინტაუდგან: „გაიგორა თქვენის უდიდებულესობის დეპეშა, შანდუნის გუბერნატორმა სთქვა: „მე დიდი ხანია ვშიშობდი პეკინში მომწყვდეულ ევროპიელებისათვის; რამდენჯერმე კაცები გავგზავნე, მინდოდა როგორმე მეშველა, მაგრამ ამაოდ; პეკინში მიმავალი გზები მეამბოხეებითაა სავსე, ყოველ გვარ ზომებს ამიტომ სასურველი ნაყოფი არ მოჰყვება: მაინც ვალდებულად ვრაცხ თავს, ვიღონო რამე იმათდა საშველადაო“.

გერმანიის ესკადრის უფროსი ტაკუდგან დეპეშით იუწყება 24 ივნისს, რომ წინა დღეს გემით გავისტუმრე ტიან-ძინიდგან გამოქცეულნი გერმანელნი და ბელგიელნი: 16 დედაკაცი, 9 ბავშვი და 13 მამაკაციო.—როგორც 19 ივნისს იუწყებიან დაჭრილნი კარგად არიან. მდინარით მიმოსვლა ტიან-ძინამდე ჯერ კიდევ შეიძლება.

**ფოლკსრუსტი.** გენერალმა ბრაბანტმა დაიჭირა დორნბერგი, რომელიც სენეკალსა და ვინბურგს შუა მდებარეობს.

**პეტერბურგი.** 25 ივნისს ვიბორგის მე-85 ქვეითა რაზმმა იდღესასწაულა 200 წლის იუბილეი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26-го Іюня 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე